

თვითმფრინავში მგზავრთა ჩასასხდომი ტრაპი - 4 ცალი

აუცილებელი ტექნიკური მოთხოვნები:

- ძრავის საწვავის ტიპი - დიზელი;
- შასი - 4 თვალი;
- მოცურების საწინააღმდეგო ალუმინის საფეხურები;
- მინიმალური სამუშაო სიმაღლე: არაუმეტეს 2000 მმ;
- მაქსიმალური საოპერაციო სიმაღლე: არანაკლებ 4500 მმ;
- კიბის სიგანე: არანაკლებ 1200 მმ;
- პლატფორმის სიგანე: არანაკლებ 1900 მმ;
- ციმციმა პლატფორმაზე;
- ტრაპის საჰაერო ხომალდთან უსაფრთხოდ დაყენების სისტემა;
- მაქსიმალური დატვირთვა - არანაკლებ 600 კგ;
- მძღოლის დახურული კაბინა (გამათბობლით);
- პლატფორმაზე რეზინის დამცავი ბალიში საჰაერო ხომალდის კორპუსთან შეხების ზოლზე;
- ავარიული ხელის ტუმბო;
- მაჩვენებლების დაფაზე კონტროლირებადი ციმციმა და პლატფორმის განათება;
- სტადარტული განათების და სიგნალის სისტემა: მოხვევის მანიშნებელი ფარები, უკუსვლის ფარები, შუქფარები, უკუსვლის სიგნალი;
- ინკლინომეტრი;
- სამუშაო განათება პლატფორმის ქვეშ.

ლენტური დამტვირთველი– 4 ცალი

აუცილებელი ტექნიკური მოთხოვნები:

- ძრავის საწვავის ტიპი - დიზელი;
- შასი - 4 თვალი;
- სრული სიგრძე: არანაკლებ 8,00 მეტრი;
- სრული სიგანე: არანაკლებ 2,40 მეტრი;
- მოძრავი პლატფორმის სიგანე: არანაკლებ 700 მმ;
- ლენტის სიგანე: არანაკლებ 600 მმ;
- ზომები გაშლილ პოზიციაზე: წინა მხარე: არაუმეტეს 4,5 მეტრი ძირითადი კორპუსიდან; უკანა მხარე: არაუმეტეს 1,5 მეტრი ძირითადი კორპუსიდან;
- ციმციმა პლატფორმაზე;
- ლენტური კონვეირის საჭაერო ხომალდთან უსაფრთხოდ დაყენების სისტემა;
- მაქსიმალური დატვირთვა არანაკლებ 1000 კგ;
- განათების და სიგნალის სისტემა: მოხვევის მანიშნებელი ფარები, უკუსვლის ფარები, შუქფარები, უკუსვლის სიგნალი;
- წინა LED სამუშაო განათება;
- სხვადასხვა ინდიკატორებისა და გამაფრთხილებელი ნიშნები მაჩვენებლების დაფაზე;
- კონვეირის აწევა/დაწევა გადამრთველის საშუალებით აღჭურვილი ავარიული მუხრუჭით;
- ორი ერთეული ლენტის სამართავი ელექტრო კოლოფი;
- კონვეირის ღვედის თავსა და ბოლოში რბილი რეზინის დამცავი ბუფერი;
- მძღოლისთვის დახურული კაბინა (გამათბობლით);
- ღვედი ორივე მხრიდან დამცავი მოაჯირით (სიმაღლე არანაკლებ 800 მმ);
- პლატფორმა აღჭურვილი უნდა იყოს ავარიული გაჩერების ღილაკით;
- სალონი აღჭურვილი უნდა იყოს ავარიული გაჩერების ღილაკით;
- დამატებითი საფეხური პლატფორმაზე გვერდიდან ასასვლელად.

საჰაერო ხომალდის გამწე დანადგარი - 1 (ერთი) ცალი

აუცილებელი ტექნიკური მოთხოვნები:

- ძრავის საწვავის ტიპი - დიზელი;
- შასი - 4 თვალი;
- საჭე: 4 თვლით მოხვევის შესაძლებლობით;
- ბუქსირის წევა – არანაკლებ 140 KN;
- მძღოლის დახურული კაბინა, 2 უკანა ხედვის სარკით, გათბობის სისტემით და წინა საქარე მინის წმენდის შესაძლებლობით;
- დენის წყარო სალონში - 24 ვოლტიანი;
- კაბინაზე არსებული ციმციმა;
- ავარიული ნათურები;
- წინა და უკანა სამუშაო განათება;
- საჰაერო ხომალდის ბუქსირების სამაგრი, ძარის წინა და უკანა მხარეს.
- სათადარიგო ბორბალი;
- გასაწევი საჰაერო ხომალდის მაქსიმალური წონა: - 245 000 კგ.

საჰაერო ხომალდის ელექტროენერჯის მიწოდებელი დანადგარი - 2 (ორი) ცალი

აუცილებელი ტექნიკური მოთხოვნები:

- მაქსიმალური სიმძლავრე – არანაკლებ 90 კვა;
- კვების ბლოკის სიხშირე - არანაკლებ 400 ჰერცი;
- მუდმივი დენის (DC) გარდამქმნელი - მინიმუმ 28,5 ვოლტი;
- არანაკლებ 9 მეტრის სიგრძის 4/0 მუდმივი დენის (DC) კაბელი, რომელიც მიერთებულია საჰაერო ხომალდთან, შესაფერისი თავაკით (28 V);
- დანადგარის საწვავის ტიპი - დიზელი;
- 115/200 ვოლტი, 3-ფაზიანი, 4-წვერიანი საკაბელო გადაბმა დამიწებით;
- ელექტროძრავა კონტაქტური ჯაგრისების გარეშე;
- მოწყობილობა, რომელიც სისტემის გაუმართაობისა და ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოფს შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას;
- საწვავის ავზის ტევადობა გათვლილი მინიმუმ 8-საათიანი მუშაობისთვის;
- სამუშაო დაფა აღჭურვილი ინდიკატორებით, წვიმისგან დამცავი საფარით;
- კორპუსზე განთავსებული ციმციმა და საწვავის სიმცირის მანიშნებელი განათება;
- 4-თვლიანი შასი (მეხუთე თვალი ჩასაბმელით სადგომი მუხრუჭის გასააქტიურებლად);

ძირითადად გათვალისწინებული შემდეგი ტიპის საჰაერო ხომალდის მომსახურების უზრუნველსაყოფად: B737/200-900; B767 200-400; Airbus 318-319-320-321; CRJ700-900-1000; EMBRAER 170-190

ზარგის მზიდი ტრაქტორი - 3 (სამი) ცალი

აუცილებელი ტექნიკური მოთხოვნები:

- საწვავის ტიპი - დიზელი;
- ავტომატური გადაცემათა კოლოფი;
- უსაფრთხოების საკეტი გადაცემისთვის;
- შასი - 4 თვალი;
- ძრავის გაგრილების დაბალი დონის გამაფრთხილებელი მაჩვენებლით;
- ბუქსირის წევა – არანაკლებ 20 KN;
- ტრაქტორის წონა – არანაკლებ 3 500 კგ;
- 12 VDC მომუშავე ელექტრო სისტემა ბატარეის მთავარ გადამრთველთან ერთად;
- HMI ფერადი მრავალფუნქციური ეკრანი ტრაქტორის მდგომარეობისა და გამაფრთხილებელი ინფორმაციის საჩვენებლად;
- სპიდომეტრი და ოდომეტრი, ძრავის RMP, ძრავის გამაგრილებლის ტემპერატურის საზომი, ძრავის ზეთის წნევის საზომი;
- PLC მართვის სისტემა;
- ავარიული გაჩერების ღილაკი;
- ციმციმა;
- LED განათების სისტემა: აალების სიგნალი, გაჩერების შუქები, ფარები, საფრთხის მაუწყებელი ფარები, უკანა განათების დამცავი;
- ორი სავარძელი (მძღოლი + მგზავრი) ღვედით;
- დახურული კაბინა;
- მისაბმელის მიერთების შესაძლებლობა კორპუსის წინა და უკანა მხარეს.

ასენიზაციის მანქანა– 1 (ერთი) ცალი

აუცილებელი ტექნიკური მოთხოვნები:

- ძრავის ტიპი - დიზელი;
- ავტომატური გადაცემათა კოლოფი;
- 12 V უარყოფითი დამიწების ელექტრო სისტემა, აღჭურვილი ბატარეის მთავარი გადამრთველით;
- სტანდარტული განათების სისტემა: მოხვევის მანიშნებელი ციმციმა, გაჩერების მანიშნებელი ფარები, შუქფარები, ავარიული მაშუქები;
- ციმციმა სალონის სახურავზე;
- კაბინა (გამათბობლით) კარიტ და უკანა ხედვის სარკეებით;
- საწვავის საზომი, გამაგრილებლის ტემპერატურის საზომი, საათი და ავარიული გადამრთველი დაფაზე;
- ჰიდრავლიკური ავზის მოცულობა - არანაკლებ 80 ლიტრი;
- სალონის სახურავზე მინიმუმ 1 სამუშაო განათება;
- წინა და უკანა განათების დამცავი ბადეები;
- საწვავის ავზის მოცულობა: არანაკლებ 80 ლიტრი;
- უჟანგავი ფოლადის ავზი: ნარჩენების ავზი არანაკლებ 2200 ლიტრი მოცულობის, სადუზინფექციო ავზი არანაკლებ 1000 ლიტრი მოცულობის;
- ორცილინდრიანი უჟანგავი ფოლადის ამწე პლატფორმა, პლატფორმის მაქსიმალური სიმაღლე - არანაკლებ 2900 მმ, მაქსიმალური დატვირთვა - 200 კგ;
- ნარჩენების ავზის ვაკუუმური ტუმბო;
- შიდა გამფრქვევი ნარჩენების ავზის გასაწმენდად;
- ნაკადის მრიცხველის განულების შესაძლებლობით;
- ნარჩენების ავზის დონის სრული ვიზუალური მაჩვენებელი;
- უჟანგავი ფოლადის მილი ავზიდან კალათამდე ელექტრო სფერული სარქველით;
- უჟანგავი ფოლადის ცენტრიდანული წყლის ტუმბო;
- ავარიული გადინების სარქველი ნარჩენების ავზის უკანა ნაწილის ცენტრში სრული გადინებისთვის;
- საჭაერო ხომალდის კორპუსის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით საოპერაციო კალათის აწევის შემზღვეველი გადამრთველები.

საჰაერო გამშვები აგრეგატი - 1 (ერთი) ცალი

აუცილებელი ტექნიკური მოთხოვნები:

- ძრავის ტიპი - დიზელი;
- ჰაერის ნაკადი – არანაკლებ 150 PPM;
- შასის ტიპი – მისაბმელი;
- საოპერაციო რეჟიმები – რეაქტიული გამშვება და საჰაერო პაკეტები;
- გამოსული ჰაერის ტემპერატურა – არანაკლებ 200°C;
- ელექტრო სისტემა – 24 VDC;
- ჰაერის გამომშვები – ერთი;
- ჰაერის შლანგის სიგრძე – არანაკლებ 9 მეტრი;
- საწვავის სიმცირის გამაფრთხილებელი სისტემა, ციმციმასთან ერთად.

ძირითადად გათვალისწინებულია შემდეგი ტიპის საჰაერო ხომალდების მომსახურების უზრუნველსაყოფად: სრული B737 სერია; სრული A320 სერია; სრული Embraer 170-190 სერია

გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს:

- ა) ახალი (ქარხნული) ტექნიკის მიწოდება;
- ბ) საქონლის მიწოდებისას მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ინსტრუქცია ინგლისურ ენაზე;
- გ) შემსყიდველის მოთხოვნით, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დანიშნულ პირთა გადამზადება ტექნიკის შემდგომი ექსპლუატაციის მიზნით და მათი გადამზადების დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემა;
- დ) ტექნიკის ექსპლუატაციის დროს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა და შეკეთება, აგრეთვე თანმხლები სათადარიგო ნაწილების უზრუნველყოფა;
- ე) ტექნიკური მომსახურება უნდა განხორციელდეს მხოლოდ მიმწოდებლის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ;
- ვ) საჭიროების შემთხვევაში, მიმწოდებელს უნდა შეეძლოს პროგრამული უზრუნველყოფის მიწოდება.